სსიპ. „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“

ხობის რაიონში, სოფელ ქარიატას საჯარო სკოლის მასწავლებელთა სახლის შენობის დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

თბილისი 2016წელი

სსიპ. „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“

ხობის რაიონში, სოფელ ქარიატას საჯარო სკოლის მასწავლებელთა სახლის შენობის დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

სამშენებლო-საპროექტო სამსახურის უფროსი: მ. ჭონიაშვილი

ორგანიზაციის პროექტის ავტორი: ნ. ქარქაშაძე

თბილისი 2016წელი

შემადგენლობა:

ა) განმარტებითი ბარათი

1. შესავალი

2. სადემონტაჟო მოედნისა და სადემონტჟო ობიექტის დახასიათება.

3. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა.

4. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები.

5. დემონტაჟის საინჟინრო მომზადება და მითითებები სადემონტჟო სამუშაოთა წარმართვაზე.

6. რეკომენდირებული მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი.

7. უსაფრთხოების ტექნიკა.

8.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა.“ მოპ-1“

ბ) გრაფიკული ნაწილი

ნახაზი „მოპ-2“ – „სადემონტაჟო გენგეგმა“; „სადემონტაჟო სქემა“

ა) განმარტებითი ბარათი

1. შესავალი

ხობის რაიონიში, სოფელ ქარიატას საჯარო სკოლის მასწავლებელთა სახლის შენობის დემონტაჟის პროექტი დამუშავებულია სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს მიერ.

წინამდებარე „სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი“ დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების(სნდაწ) და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

1.სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“

2. სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“

3. სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“

ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე.

სნდაწ 3.01.01-85*-ის „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“ მოთხოვნის თანახმად, სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს სამუშაოთა წარმოების პროექტი. აკრძალულია დემონტაჟის დაწყება დამტკიცებული სამუშაოთა წარმოების პროექტის გარეშე.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე დამკვეთმა აუცილებლად უნდა განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა.

2. სადემონტაჟო მოედნისა და სადემონტჟო ობიექტის დახასიათება

სადემონტაჟო ობიექტის ქვეშ განთავსებული ტერიტორია განთავსებულია ხობის რაიონში, სოფელ ქარიატაში (ს.კ. 45.13.22.031) ობიექტი წარმოადგენს ერთ წითელ ხაზებში და ერთ შემოღობილ ეზოში განთავსებულ საჯარო სკოლის მასწავლებელთა სახლის შენობას (საკადასტრო გეგმაზე ნომრით 04/1 გეგმაში ზომებით 8X11მ.მ.) ; შენობა ერთსართულიანია; სახურავი აღარ გააჩნია, ამჟამად დარჩენილია მხოლოდ წვრილი ბლოკით ნაშენი ცვეთაგანცდილი კედლები და მცირე რკინაბეტონის სარტყელის ფრაგმენტი. ზღუდარები და საძირკვლები ბეტონის კონსტრუქციებისაა. ყველა კონსტრუქცია გამოსულია მწყობრიდან, ძლიერ დაზიანებების გამო ექვემდებარება დემონტაჟს.

პროექტი ითვალისწინებს მასწავლებელთა სახლის სრულ დემონტაჟს და ტერიტორიის მოსუფთავებას.

ტერიტორია ხასიათდება სწორი რელიეფით.

ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

-ნაკვეთის ფართი: -10371მ^2

-№04/1 სადემონტაჟო მასწავლებელთა სახლის საერთო ფართი -89,77მ^2

ობიექტზე საინჟინრო კომუნიკაციების, ასევე რაიმე ქსელის არსებობის შემთხვევაში, დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებელია მათი ჩაჭრა საექსპლუატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეების ქვეშ დადგენილი ნორმატიული და კანონმდებლობითი პირობების გათვალისწინებით, უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით.

სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით, სადემონტაჟო ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანა ავტორებთან შეთანხმების გარეშე დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და დამკვეთის მიერ.

3. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

დემონტაჟის ხანგრძლივობის ვადებისა და მისი განხორციელების ცალკეული პერიოდების დასადგენად ხელმძღვანელობენ სნ. და წ. 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“; ასევე დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“; აღნიშნული ნორმების გათვალისწინებით ასევე რეალური სიტუაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა დემონტაჟის ხანგრძლივობა 4 კვირის პერიოდით. მისი დაცვა შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების პირობებში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს რბილმა და ზომიერმა კლიმატურმა პირობებმა.

კალენდარულ გეგმაზე ობიექტის დემონტაჟის შემოთავაზებული თანმიმდევრობა რეკომენდირებული ხასიათისაა, მისი კორექტირება შესაძლებელია სამუშაოთა წარმართვის პროცესში დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებით და დემონტაჟის პროცესში აღმოჩენილი შესაძლებლობებით.

4. სადემონტაჟო სამუშაოების რიგობრიობა და ეტაპები

კალენდარული გეგემით გათვალისწინებული ფინანასური უზრუნველყოფისა და შესაძლებლობების საფუძველზე უნდა მოხდეს სამუშაოთა თანმიმდევრობის განსაზღვრა.

დემონტაჟის განხორციელების გეგმიური ხანგრძლივობა 4 კვირაა, სამუშაოები უნდა წარიმართოს კალენდარული გეგმის მიხედვით. იხ. მოპ-1.

I კვირა ეთმობა მოსამზადებელ სამუშაოებს.

II კვრიდან დაიწყება მასწავლებელთა სახლის შენობის დემონტაჟი ზემოდან ქვევით საძირკვლის ძირის ნიშნულებამდე.

ბოლო კვირეებში განხორციელდება დემონტირებული მასალის საბოლოო გატანა მოედიდან და ტერიტორიის გასუფთავება მომზადება ჩაბარებისათვის.

5. დემონტაჟის საინჟინრო მომზადება და მითითებები სადემონტაჟო სამუშაოთა წარმართვაზე.

ჩვენს მიერ შედგენილი მოპ-ი ითვალისწინებს სნ. და 3,01,01,85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“ მოთხოვნილებებს მშენებლობაზე ხანძარსაწინააღმდეგო და მშენებლობის უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვით.

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

-დავალება პროექტირებაზე.
-დემონტაჟის რაიონის სიტუაციური გეგმა.
-საკადასტრო მონაცემები.
-ფოტომასალა.
-კონსტრუქციული გადაწყვეტები.
-ობიექტის ნატურაში დათვალიერება

მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამშენებლო ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს, რომლის შედგენაც უნდა მოხდეს დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

დემონტაჟი უნდა განხორციელდეს საავტორო და ტექნიკური ზედამხვედველობის ქვეშ; დახურული სამუშაოების მიღება ავტორების კონტროლის ქვეშ დადგენილი წესით აუცილებელია.

სამუშაოთა დაწყება დაიშვება საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე განათლების და მეცნიერების სამინისტროს (ქონების მართვის სააგენტოს) მიერ აღებული ნებართვების საფუძველზე. საჭირო ნებართვების აღების შემდეგ დაიწყება მოსამზადებელი სამუშაოების წარმოება, კერძოდ:

განთავსდება საინფორმაციო ბანერი, ჩაიჭრება ყველა საინჟინრო ქსელი შენობასთან მიმართებაში, მოეწყობა ხის შეფიცვრით დროებითი ღობე (სასურველია ირგვლივ გადახურვით); მთლიან ტერიტორიას ჩამოეფარება ფარდა სპეციალურად მოწყობილ ხარაჩოზე, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა მიმდებარე ზონაში. ამასთან გაწმენდითი და სადემონტაჟო სამუშაოების პარალელურად ყველა სამუშაო უნდა

დაინამოს მტვრის თავიდან აცილების მიზნით, უნდა განხორციელდეს შენობის დაცლა, დაგვა-გასუფთავება და გადაყრა; დროებით სათავსებად (მუშების გარდერობი; საპრარაბო...) უნდა მოეწყოს დროებითი თავშესაფარი მიმდებარე ტერიტორიაზე წითელი ხაზების ფარგლებში

შენობის დემონტაჟი განხორციელდება შემდეგნაირად: დემონტაჟი უნდა დაიწყოს დარჩენილი რკინაბეტონის სარტყელის მონგრევით, შემდეგ დაიწყება წვრილი ბეტონის ბლოკით ნაშენი კედლების დაშლა ღიობების ზრუდარებთან ერთად, იატაკების, შესასვლელი კიბის და ა. შ. ბოლოს ბეტონის საძირკლვლების დემონტაჟი საძირკვლის ძირის ნიშნულებამდე და გატანა ობიექტიდან.

სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვევით სათანადო კომისიის დასწრებით; სამუშაოების დროს უნდა იყოს გათვალსიწინებული ყველა კონსტრუქციის დროებითი გამაგრება ხის მასალით (კოჭებით; შეფიცვრით და ა. შ.) მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ტანსაცმლით და სათვალეებით. ნაგვის ტრანსპორტირება-გადაყრის სვლა-გეზი უნდა შეთანხმდეს საპატრულო პოლიციასთან; ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციის დროებითი გამაგრება. სადემონტაჟო ობიექტი უნდა იყოს განათებული ღამის საათებში. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით. დემონტაჟის პროცესში სასტიკად იკრძალება ადამიანთა მოძრაობა-ყოფნა სადემონტაჟო კონსტრუქციების ქვეშ. დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ინჯინერ-სპეციალისტის

მეთვალყურეობის ქვეშ. დემონტირებული ვარგისიანი და გამოუსადეგარი კონსტრუქციები; ნარჩენები და ნაგავი გატანილ უნდა იქნას ობიექტიდან ავტოთვითმცლელების გამოყენებით. აუცილებელია დატვირთული მანქანების მანევრის გაკონტროლება სანამ მანქანა გავა სკოლის ტერიტორიიდან და სასურველია შეირჩეს ისეთი პერიოდი, როდესაც მოსწავლეები არ იმოძრავებენ აღნიშნულ ტერიტორიაზე.

სამუშაოები უნდა შესრულდეს სნ. და წ. III-15-80-ის მოთხოვნილებათა სრული დაცვით.

6. რეკომენდირებული მანქნა-მექანიზმები; დანადგარები და ინსტრუქმენტები

დემონტაჟის უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში:

#	დასახელება	მარკა	რაოდენობა
1	2	3	4
1.	ავტოთვითმცლელი, ძარიანი და სპეცტრანსპორტი დემონტირებული კონსტრუქციებისა და ნაგვის გასაზიდად	სხვადასხვა	2
2.	სანგრევი ჩაქუჩები; სხვადასხვა სადემონტაჟო მოწყობილობები და ინვენტარი (ხელის მექანიზმები)	კომპლ.	6
3.	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა,-ინსტრუქმენტები, ნიჩბები; ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპლ.	12

რეკომენდირებული მაქნანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან თანამედროვეთი.

7. უსაფრთხოების ტექნიკა

ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის მოთხოვნების მკაცრი დაცვით,ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიგა ელ.ქსელი და წყლის ქსელი უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოშობილი სახიფათო ზონის საზღვრები სადემონტაჟო შენობის კონტურიდან შეადგენს 3.0მეტრს.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა დემონტაჟის სახიფათო ზონებში და სადემონტაჟო მოედანზე.

დემონტაჟის სახიფათო ზონების მოცემული რადიუსი დაზუსტდეს ადგილზე.

ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით (უსაფრთხოების ქამრები,რეზინის ფეხსაცმელი; რეზინის ხელთათმანები,ჩაფხუტები და სხვა). აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოებზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის,უსაფრთხოების ქამრების,რესპირატორებისა და დამცავი სათვალეების გარეშე.

აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ.

მოქმედი ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწესის საფუძველზე. სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს სისტემური სწავლება უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში. მხოლოდ ამ სწავლებების შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე.

ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე,მოერიდოს სახიფათო ზონებში

ყოფნას და სიარულს,დაემორჩილოს ამკრძალავ, გამაფრთხილებელ და მიმთითებელ ნიშნებს. სამუშაოები უნდა წარმოებდეს უშუალოდ სამუშაოთა მწარმოებლის მეთვალყურეობით.

ნაგვის გატანა უნდა განხორციელდეს სპეციალური ავტოამწეების გამოყენებით და ავტოთვითმცლელებით; ზედმეტი ნაგვის დატვირთვა უნდა იწარმოოს გვერდითა ან უკანა მხრიდან.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარშემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან.